დამტკიცებულია
დირექტორის 2023 წლის
25.07. ბრძანებით

მოსწავლეთა მხარდაჭერა
(მექანიზმები და სერვისები)

შპს სკოლა-ლიცეუმი „სანთელიში“ (შემდგომში სკოლა) **შექმნილია მოსწავლეთა მხარდამჭერი საინიციატივო ჯგუფი, რომელიც** ერთი მხრივ მოიაზრებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, ხოლო მეორე მხრივ მოსწავლეებისთვის მხარდამჭერი ღონისძიე-ბების განხორციელებას, რაც მთლიანობაში ორიენტირებულია მოსწავლეთა წინსვლის, ჰოლისტუ-რი (მოსწავლე თავად არის თავისი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი მისი მხარდა-მჭერი) განვითარებისკენ.
სკოლა-ლიცეუმი უზრუნველყოფილია, ასწავლოს მოსწავლეს სწავლის ხელოვნება, საკუთა-რი ზრდა-განვითარების პროცესის ეფექტურად მართვა, ჩამოუყალიბოს თვითგანვითარები-სა და თვითსრულყოფის უნარები. მხარდამჭერი ჯგუფის მოსწავლეზე ორიენტირებულობა ბა გულისხმობს მოსწავლეების მხარდაჭერას, მათი უფლებების დაცვას და მხარდამჭერი ღო-ნისძიებების გატარებას. როგორიცაა მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების თანაბარი ხე-ლმისწავდომობა, სკოლის მართვაში ჩართულობა, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებე-ბის შესახებ ინფორმულობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხლებელობა, გასაჩივრების უფლება და გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებების, რწმენის თავისუფლებება, უპირატესია ჩვე-ნი სკოლა-ლიცეუმისთვის.

მოსწავლეთა მხარდაჭერის კონკრეტული მექანიზმები

- სკოლა-ლიცეუმში მხარდაჭერილი და წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, დაგეგმონ და განახორციელონ სასკოლო პროექტები და აქტივობები, მათი ინტერესებიდან გამომდინარე.
- მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან კვალიფიციური ექთნის და ფსიქოლოგის მომსახურებით და მხარდაჭერით.

- სკოლაში მოსწავლეების მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მოსწ-ავლეებს დაეხმაროს მომავალი პროფესიის შერჩევაში და დაგეგმვაში.

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები

- სკოლა გამორჩეულ ყურადღებას უთმობს ახალი ჩარიცხული მოსწავლეების მხა-რდაჭერას. სასწავლო გარემოში, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო მეთოდო-ლოგიური მიდგომების გამოყენებით, ასევე, მათი სახალისო აქტივობებში ჩართ-ვის გზით.
- სკოლაში დანერგილია მოსწავლის საკონსულტაციო სისტემა აკადემიური მიღწე-ვების გასაუმჯობესებლად. ამასთან, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, გამოიჩი-ნონ ინიციატივები, დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები მათი ინტერესების შესაბამისად. სკოლა ზრუნავს ასეთი ინიციატივების წახალისებაზე.
- მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეს ეძლევა ხმის უფლების მიცემა, იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც სკოლაში ხდება.
- ყოველდღიური სასკოლო ცხოვრება მოსწავლეებს ეს ეხმარება: თავდაჯერებულობის ჩამოყალიბებაში; ხელს უწყობს მათ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში; თავს აგრძნობინებს სასკოლო საზოგადოების ღირსეულ წევრად, რომელსაც საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლია;
- ავითარებს მათ კომპეტენციებს აქტიური მოქალაქეობისთვის;
- აუმჯობესებს მათ მიღწევებს სასკოლო საგნებში; ასწავლის მათ იმ უნარებს და დამოკიდებულებებს, რომლებიც საჭიროა სამუშაო ადგილზე წარმატების მისაღ-წევად.